



თარი არაოდეს ყოფილ იყო არცა წყლის-რღუნის წინით და არცა შემდგომად ტანითა, ძალითა და სიმენითა.

ხოლო ვერღარა იტევდა ქუეყანა არარატისა და მასისისა, განუყო თარგამოს ქუეყანა და ნათესავი თუხი რვათა ამით გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისა და ნახევარი და უმცო-ბესი ქუეყანისა მისისა მისცა პაისს, ხოლო შუდათა ამით მის-ცა ხუედრი მათი არძანიგებისაგერ მათისა: წარმოიყვანნა შუდნი იგი ჩრდილოთ კერძი და განუყვნა ქუეყანანი ღირსე-ბისაგერ მათისა. მისცა ქართლოსს და უჩინა საზღვარი: აღ-მოსავლით პერეთი და მდინარე ბერდუქისი; დასავლით ზღუა პონტოსი; სამხრით მთა, რომელი მიჰყვების ბერდუქის მდი-ნარისათვის; და მთა, რომელი მიჰყვების დასავლით კერძო, რომლისა წყალი გარდმოდის ჩრდილოთ კერძო და მიერთვის მტკუარსა. რომელ მიჰყვების მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს ვიდრე ზღუამდის; და ჩრდილოთ საზღვარი ღაბო, მთა მცირე, რომელი გამოვლის შტოდ კავკასისაგან და მოჰქიდავს წუერი დასასრულსა დაღოსა, რომელსა აწ ჰქვანს-ლიზი. და ამით საზღვართა საშუალო მისცა ყოველი ქართლოსს.

ხოლო ბარდოსს მისცა მტკუარს სამხრით, ბერდუქის მდი-ნარითა ვიდრე საღა შერბებთან მტკუარს და რაქსი. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდავი და დაეშენა მუნ.

ხოლო მოვაყანს მისცა მტკუარსა ჩრდილოთ, მცირისა აღაშენისა შესართავითა ვიდრე ზღუამდე. და ამან აღაშენა ქალაქი მოვაყენთი, და დაეშენა მუნ.

ხოლო პეროსს მისცა ქუეყანა მტკუარისა ჩრდილოთ, მცირისა აღაშენისა შესართავითა ვიდრე ტყებამდე, რომელსა აწ ჰქვანს გულგულთა. და ამან პეროს აღაშენა პირველად ქალა-ქი შესაკრებელთა შორის ორთავე აღაშენისასა, და უწოდა სა-ხელი თუხი პერეთი. და მის გამო ჰქვანს პერეთისა პერეთი. და აწ მას ადგილსა ჰქვანს ხორანთა.

ხოლო ეგრისს მისცა ქუეყანა ზღუაყურისა, და უჩინა საზღ-ვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსა აწ ჰქვანს ლიხი; და-სავლით ზღუა; ჩრდილოთ მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსუთების წუერი კავკასისა. ხოლო ამან ეგრისა აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თუხი ეგრისი. აწ მას ადგილსა ჰქვანს ბედი.

ხოლო კავკასია ჩრდილოთ არა იყო ზღვრის თარგამო-

სისა, არამედ არცა იყო კაცი კავკასიასა ჩრდილოთ; და უმ-კვლრო იყო ქუეყანა იგი კავკასიითა ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთვის გა-მოიყვანნა მრავალთა გმირთაგან ორნი გმირნი, ლეკან და კაე-კასი. და მისცა ლეკანს ზღუაგან დარუბანდისათ ვიდრე მდი-ნარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად. და მისცა კაეკასს ლომეკის მდინარითა ვიდრე დასასრულამდე კავკასისა, დასავლით.

ხოლო ჰაოს დემეკურა საყოფელთა მამისა თუხისა თარ-გამოსისასა, და დაიპყრა ქუეყანა ჩრდილოთ, ვითა დამიწერია: სამხრით მითი ორეთისითა, აღმოსავლით ვიდრე ზღუამდე გუტგენისა, და დასავლით ვიდრე ზღუამდე პონტოსსა. და ამით შუდათა გმირთა ზედა იყო განმგებელ და უფალ ჰაოს. და ესე ყოველი იყენეს მორჩილ ჰაოსისა. და ესე რვათავე ნრთობით მშონებდეს ნებროთს გმირსა, რომელი იყო პირვე-ლი მფეე ყოვლისა ქუეყანისა.

შემდგომად ამისა მცირელთა წელიწადთა მოუწოდა ჰაოს შუდათა მთ გმირთა, შემოკრიბნა და რქუა მათ: „მოგცა ღმერთმან მადლობან ძალი და სიმბაველი ნათესავისა ჩუენისა. აწ შეწყენითა დამბადებლისათა ვიყენეთ არა ვისა მონა, და არავის ემსახურეთ თუნიერ ღმრთისა დამბადებლისათა. ვწამ-ნეს შუდნი იგი გმირნი, და დაუმტკიცეს განზრახვი იგი; და ზამღღეს ნებროთს და არღარა მისცეს ხარკი. და ეხრანეს სხუთა ვითემე ნათესავთა, და დაუორგულდეს სხვისთა ნა-თესავნი.“

მაშინ განუწერა ნებროთ. და შემოკრიბნა გმირნი მისნი და ყოველნი, რომელნი ერჩდეს, სპანი მისნი, და მომართა თარგა-მოსანთა. ხოლო ჰაოს მოუწოდა შუდათავე გმირთა და ყოველ-სავე ნათესავსა თარგამოსისასა. და შეეწყენეს სხუანიცა ვინმე ნათესავნი დასავლეთისანი: შეკრიბნა ჰაოს ესე ყოველნი და დადგა ძირსა მასისისასა. და ვითარ მოაღდა ნებროთ ქუეყანასა იდარბადგენისასა. და დადგა მუნ და წარავლინა გმირნი სამე-ოცნი და მათ თანა სპანი ძლიერნი წუთხად თარგამოსისათა.

ხოლო ვითარცა მოიწონეს სპანი იგი ნებროთისნი, მაშინ მიეგებნეს შუდნი იგი გმირნი მძანი ჰაოსისნი სპითა ძლიერითა. ხოლო ჰაოს სპითა უღლიერესითა დაუდგა უკანით, ზურგით. იქნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტი-

ქმისა ჰაერისსა. რამეთუ მტუერი ფერისა მითისა ვითარცა  
ღრუბელი სქელი; ელვა აბჯრისა მითისა ვითარცა ელვა ცისა;  
ჰმა ჰერისა მითისა ვითარცა ჰმა ქუხილისა; სიზრაველი ისართა  
და ტყორცნი ქვისა მითისა ვითარცა სეტყუა ვშირი, და დათხე-  
ვა სისხლისა მითისა ვითარცა ღუპარი სეტყუათი. განძლიერდა  
ბრძოლა მით შორის, და მოსწყდა ორგანივე ურიცხუ.

ხოლო ჰაოს უღვა ზურგად გმირთა მისთა, ძალ-სცემდა და  
წმენის-ცემდა ჰმითა საზარელითა, რომელი მსგავსი იყო მე-  
ზისტენისს. მაშინ სძლეს თარგამისიანთა და მოსრნეს სამეოც-  
ნი იგი გმირნი ნებროთისნი და სპანი მათნი. ხოლო შუდნი ესე  
გმირნი თარგამისიანნი — ქართლოს, ბარდოს, მოვაციან, ჰეროს,  
დგაკან, კეკესან, გგროს — ესენი დაჩრეს ცოცხლებითი თვნიერ  
წყალობისა და ძლიერებისილი ჰმადლობდეს ღმერთსა.

ხოლო ვითარცა ესმა ნებროთს, განწყრა და წარმოემართა  
მით კერძო ყოვლითა ძალითა მისითა. ხოლო ჰაოსს არა ჰყვეს  
სპანი ნებროთის სპათა ოდენნი. განმაგრდა იგი ღირდალთა  
შინა მასისისათა. მიუღდა ქუდივე კერძო ნებროთი; და იყო იგი  
ქუდივითი რკინითა და რვალთა ტერფთაგან ვიდრე თხემამდე,  
და აღება გორასა ერთსა ზედა ზრახვად ჰაოსისა და გტყვიდა  
დამორჩილებასავე მისსა, რათა სინდეს მიქცევა მისი. ხოლო  
ჰაოს რქულა გმირთა მისთა: „განმამაგრეთ ზურგით კერძო ჩემი,  
და მივიხლო ნებროთს“.

და წარვიდა და მივიდა პირსიპირ მახლობელად ნებროთი-  
სს, და სტყორცნა ისარი და ჰკრა მკერდსა ნებროთისისა, დეცარ-  
სა ზედა რვალისასა, და განავლო ზურგით. მაშინ დაეცა ნებ-  
როთი, და იოტა მანაკი მისი. და განთავისუფლდეს ნათესაენი  
თარგამისისნი. და მაშინ ჰაოს ჰყო თავი თუსი მეფედ მათთ  
თესთა ზედა და სხუათადა ნათესავთა ზედა, მახლობელთა  
საზღვართა მისთასა. ხოლო შუდნივე ესე მშანი წარვიდეს  
თესთასად ქუეყანად, და იყვნეს მორჩილ ჰაოსისა. ხოლო  
აქამოდის დაეწერეთ ამნევი ესე რვათავე მათთ.

## [2. პართლოსს მშენება]

ხოლო აქამედან ვეწყეთ და წარმოვთქვათ ამნავი ქართ-  
ლოსსა და ნათესავისა მათისა, და ცსობებმა მათი ვიდრე დღე-

თა ჩუენთამდე. და ვითარ-იგი განუყო ქუეყანა თარგამოს ნა-  
თესავსა მისსა და რვათავე შვილთა მისთა, და მისცა  
ქართლოსს ქუეყანა, რომელი ზემა აღეწერეთ. და ესე  
ქართლოსს მოვიდა პირველად ადგილსა მას, სადა შედრეთს  
არავუ მტუარასა, და განვიდა მათსა მას ზედა, რომელ-  
სა ეწოდების არმაზი. და პირველად შექმნა სიმაგრენი მას ზე-  
და, და იშენა მურ ზედა სახლი, და უწოდა მათსა მას სახელი  
თავისა თუსისა ქართლი. და ვიდრე აღმართებამდე მურ ზედა  
კერპისა არმაზისი ერქუა მათსა მას ქართლი, და მის გამო  
ეწოდა ყოველსა ქართლსა ქართლი, ხუნანიოვან ვიდრე ზღუ-  
ამდე სპერისა.

შემდგომად ამისა ამანვე ქართლოსს აღაშენა ციხე ორბისა,  
რომელსა აწ ჰქვან სამშულდე. და ეტალად აღაშენა მტუერის-  
ციხე, რომელსა აწ ჰქვან ხუნანი. ცხოვნიდა იგი მრავალთა  
წელთა და განმრავლდა ნათესავი მისი.

ხოლო შვილთა შორის მისთა გამოჩნდეს ხუნთნი გმირნი,  
რომელთა სახელები ესე არს: პირველსა მცხეთოს, მეორესა  
გარდაბოს, მესამესა კახოს, მეოთხესა კუხოს, მეხუთესა ვა-  
ნოს, ესე ხუნთნივე ნყვნეს გმირნი: არამდე მცხეთოს-უგმირე  
იყო სხუათა მათ.

მოკულა ქართლოსს და დაიღუფა იგი თავსა ზედა ქართლი-  
სასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი. და შემდგომად ამისსა  
ცოლმან მისმან აღაშენა დედაციხე. და მანვე აღაშენა ზოსტან-  
ქალაქი, რომელსა აწ ჰქვან რუსთავი, და განყვნა ცოლმან  
ქართლოსისმან ხუნთნივე იგი გმირნი, შვილნი მისნი.

გარდაბოსს მისცა ხუნანი და უჩინა საზღვარი: აღმოსავ-  
ლით მდინარე ბერდუჭისი, დასავლით ქალაქი ვაჩიანი, და სამ-  
ხრით მთა პირველკსენებულთა, და ჩრდილოთ მტკუარი.

ხოლო ვაჩიოსს მისცა ორბისციხე და სკურეთის მდინარით-  
გან ვიდრე თავადმდე აბოცისა. და ამან ვაჩიოსს აღაშენა ქალა-  
ქი ვაჩიანი, რომელსაც მაშინ ერქუა სანადირო ქალაქი.

ხოლო კუხოსს მისცა ზოსტანქალაქი, რომელსა აწ ჰქვან  
რუსთავი, მისცა არავუთვან ვიდრე ჰერეთამდე, ...შესართა-  
ვამდე, მათსა კახეთისასა და მტუარასა შუა.

ხოლო კახოსს მისცა კავკასიასა და კახეთის მთასა შორის,  
არავუთვან ვიდრე ტყეტილამდე, რომელი არს საზღვარი ჰერე-  
თისსა. და ამან კახოსს აღაშენა ჩელეთი; კუხოს შეეწია შენება-

სა ჩელეთისასა, რამეთუ დელიციხე კახოსის ხუდრე იყო. და მასცა კახოს შეწყვენიათუა და შეწყვი შენებასა ჩელეთისასა, რომელსა ბერ ერქუა პირველშენებულსა კახეთისასა.

ხოლო მცხეთოს, რომელი უდმირე იყო ძმთა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა, რომელსა აწუ ჰქუან არმაზი. და მანვე აღაშენა ქალაქი შესაჭრებელსა შოკრის მტკურისა და არაგუსასა, და უწოდა სახელი თუნი მცხეთა. და დაიპყრა ქუეყანა ტფილისითგან და არაგუთგან დასაუღლით ვიდრე ზღუადმდე სპერისა.

და ესე იყო განმგე და უფალ მათ თხზთავე ძმთა ზედა. და ესე თხზნივე იყენეს მორჩილ მისა. ესე არიან განყოფილნი ქართლოსის ძეთანი და რომელნი განყენა დედამან მათიან შემდგომად სიკუდილისა ქართლოსისა. ხოლო მრავალთა წელს შემდგომად სიკუდილისა ქართლოსისა, ხოლო მრავალთა წელს შემდგომად სიკუდილისა ქართლოსისა, და განმარავლდა ნათესავი მისი, და მათ ყოველთა განმრავლდა ნათესავი მათი.

ხოლო შევილთა შორის მცხეთოსისათა გამოინდეს სამი გმირნი სახელითანი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა უფლოს, და შემდგომსა ოძრკოს, და მესამესა ჯავახოს. განუყო მათ ქუეყანა და ნათესავი მათი ყოველი. ოძრკოსს მისცა ტახისკართგან ვიდრე ზღუადმდე სპერისა, ქუეყანა კლდოვიანი. ამან ოძრკოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: ოძრკე და თუზარისი.

ხოლო ჯავახოსს მისცა ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა. და ამან ჯავახოს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მამინ ერქუა ქაჯთა ქალაქი, ხოლო აწუ ჰქუან ჰური.

ხოლო უფლოს დარჩა საყოფელსა მამისა მათისა მცხეთოსისასა მცხეთას. და ეპყრა ქუეყანა არაგუთგან და ტფილისითგან ვიდრე ტახისკარამდე და ფანავრამდე. და ამან აღაშენა უფლოსციხე, ურბნისა, კასპი, არაგუთგან და არმაზითგან ვიდრე ტახისკართამდე უწოდა ამს ქუეყანასა ზენასიფლისისა, რომელსა აწუ ჰქუან შიდაქართლი.

ხოლო ვიდრე სიკუდილამდე მცხეთოსისა ესე ყოველნი ნათესავნი თარგაბისი იყენეს სიყუარულსა ზედა ერთმანეთისასა; და შიში აქუნდათ ნებროთიანთა, და ჰგონებდეს იგინი ნებროთიანთაგან ძებნასა სისხლსა ნებროთისასა. და ის-

წრადდეს იგინი მარტოხისა ციხე-ქალაქთასა შიშისათუხ ნებროთიანთასა.

ხოლო ვითარცა მოუტად მცხეთოს, ძე ქართლოსისი, შთავარდა შური შორის შეიღდა ქართლოსისთა იწყეს ბრძოლად და კდომად ურთიერთს. რამეთუ უფლოს, რომელი დატევილ იყო საყდართა ქართლოსისათა, რამეთუ მამისა შიშისაგან მიცემულ იყო უფლოსა ქართლოსიანთა. იწყეს ბრძოლად და კდომად ურთიერთს; და განაგრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ ქამ სამე აღდვიან ამათგანი ორნი ნათესავნი ერთსა ზედა, და სხუანი შეეწოდვიან რომელნიმე მის; და რომელნიმე კუალად სხუანი აღდგეს ერთმანერთსა ზედა და სხუანი შეეწოდვიან. რომელსამე ქამსა იქმნის მშველობა მათ შორის, და ქალაქად შეიშალნიან და ებრძვიან.

და გავრძელდა მათ შორის ესევეთარი საქმი, და არიენ იყო მათ შორის უწარჩინებულეს და უსახელოვანეს, არამედ ადგილითი ადგილად თავიანი იხინიან. ხოლო გინცა იყვის მცხეთას, ზეცა თავადი იგი იყვის ყოველთა მათ სხუთა ზედა. და არცა სახელ-ეღობოლად, და იგი იყვის მარავებელ და ბჭე მანასხლისი ეწოდებოდათ; და იგი იყვის მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს ყოველთასა, და უწოდდეს დედაქალაქად.

და მას ქამსა დივიწყეს დმერთი, დამადებელი მათი, და იქმნეს მსახურ მზისა და შთოვარისა და გარსკვლავთა ხეთთი, და მტკეცე და უფრისი საფიცარი. მათი იყო საფლავი ქართლოსისი.

მას ქამსა შინა განმლიერდეს ხაზარნი და დაუწყეს ბრძოლად ნათესავთა ლეკისათა და კავკასისათა. და ესე თარგაბისიანთა ყოველნი მას ქამსა იყენეს მშველობით სიყუარულსა ერთმანერთისასა.

ხოლო შეიღდა ზედა კავკასისთა იყო უფალ დურბუტ, ძე ტარბეთისი. ეზრახნეს ესე მძუსთავე ნათესავთა თარგაბისიანთა, და თხოვეს უფელს ხაზართა ზედა. ხოლო შეკრბეს ყომილნი ნათესავნი თარგაბისიანნი, და გარდავლეს მთა კავკასისა. და მოტყუენნეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი, და აღაშენეს ქალაქნი ბორსა ხაზარეთისასა, და წარმოვიდეს.

ამისა შემდგომად ხაზართა ირინეს მეფე, და დემოტრიონეს ყოველი ხაზარნი მეფესა მას ჩინებულსა მათსა, და წარმოიძღვანეს იგი და გამოვლეს ზღუსკარი, რომელსა აჲ ჰქვან დატუბანდი. ვერ წინააღუდგეს თარგამოსიანი, რამეთუ იყო სიმრავლე ურიცხვ ხაზართა, წარტყუნეს ქუეყანა თარგამოსიანთა, და შემუსრნეს ყოველი ქალაქნი არარატისანი და მასისისანი და ჩრდილოსანი. და დუტრის ციხე-ქალაქნი თუხარისა, სამშუღდე და შტურისციხე, რომელ არს ხუნანი, შიდაქართლი და ეგრისი.

და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღუსკარი დატუბანდი და არაგუსკარი, რომელ არს დარიალა, და განამრავლეს ხაზართა გამოსლვა და ტყუენება მათი და ვერღარა წინააღუდგეს. და მიერთებან იქმნეს ესე ყოველნი თარგამოსიანი მოხარეკ ხაზართა.

ხოლო ოდეს ბრველ გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენსა ქუეყანანი, რომელნი ზემოთ დამიწერიან. და გარდველო მთა კავკასია. და იყო ძე მისი სახელით უთბოსი, და მისცა ძესა თასისა ტყუენ სომხთათა და ქართლსა. და მისცა ქუეყანა კავკასისი ნაწილი, ლომიკის მდინარისა დასავლეთი, დასავლეთამდე მთისა.

და დაეშენა უთბოსი და მათნი ნათესავნი არიან ოგსნი, და იგი არს ოგსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასისა. ხოლო დუტრმტუ, რომელი უწარჩინებულეს იყო შვილთა შორის კავკასისთა, მივიდა და დაჯდა ნაბრალსა შინა მთისასა, და უწოდა სახელი თასი დუტრმტუეთი. და მისცემდა ხარკსა მეფესა ხაზართასა.

ხოლო მასვე გზობასა მისცა მამისმისწულსა მისსა ხაზართა მეფემან ნაწილი ლეკანისა, აღმოსავლით ზღუთგან დარტუნანდისით მდინარემდე ლომიკისა. და მისცა ტყუენ რანისა და მოეგნისა. და დაეშენა იგი მუნ, რომელ ნაწილი იყო ლეკანისა.

ხოლო ხოზონის, რომელ უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის ლეკანისთა, მივიდა და დაჯდა ნაბრალსა შინა მთისასა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თასი ხოზონიეთი.

და გარდადგეს მას შინა ქაშნი მრავალნი. და ესე ყოველნი ნათესავნი იყვნეს მოხარეკ ხაზართა.

ხოლო მიერთებან განძლიერდეს სპარსნი მიერ შიისა აღ-

მოსავლითგან, ნათესავნი ნებროთისნი. და გამოჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, რომლისა სახელი აფრიდონ, რომელმან შეკრა ჯაქუთა ბეგრასფი, გუელთა უფალო, და დაბა მთისა ზედა, რომელ არს კაცთშეგალი.

ესევეთარი წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა. აფრიდონ ეუფლა ყოველსა ქუეყანასა სპარსთასა: ხოლო რომელთამე ქუეყანათა შეგზავნა ერისთავნი, კელოდნი მისნი, და რომელიმე ქუეყანა მოხარეკ ეყო. ამან წარმოგზავნა ერისთავი თუსი სპათა დიდთა, რომელსა სახელი ერქუა არდამ, შვილი ნებროთის ნათესავთა. მოვიდა ქართლად და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი. და მოსრა ყოველი, რაოდენი ხაზარი პოვა ქართლსა შინა.

ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღუსკარს, და უწოდა სახელი დატუბანდი, რომელი თარგმნებს „დაჯმა კადი“ და მანვე მოხლულა მცხეთა ქალაქი ქუთაისითა. და აქი მომდე არა იყო ქართლსა შინა საქმე ქუთაისისა. და ამის გამო დაისწავლეს ქუთაირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის, და წარმოხლულა ცხური არმაზისი გიდრე მტკურამდე.

და ერისთავიდა არდამ მრავალთა წელთა. ხოლო ოდეს გაშუუო აფრიდონ ყოველი ქუეყანა სამთა ძეთა მისთა, მამინ რბენლსაც ძესა მისცა სახლად სპარსეთი, და მასვე ხუდა წილად ქართლი, რომელსა სახლად ერქუა იარედ.

ხოლო შემდგომად არდამ ერისთავისა გარდაიცვალნეს დ ერისთავნი, მიერთებან უცალო იქმნეს ძენი აფრიდონისნი, რამეთუ იწყეს ბრძოლად ურთიერთთა. და მოკლეს ორთა ძმათა იარედ, ძმა მათი. მაშინ პოვეს ეჟი მარჯუე ქართლისიანთა.

ეზრახნეს ოგსთა, გარდამოიყვანეს ოგსნი და პოვეს ერისთავი სპარსთა ეელსა გარე, და კნისობდა, და მოკლეს იგი. და რომელ პოვეს სპარსი, ყოველი მოსწყუდეს ოგსთა და ქართველთა, და განთავისუფლდეს ქართველნი, ხოლო რანი და მერეთი დარჩა სპარსთა.

და შემდგომად ამისა მრავალთა წელიწადთა კუალად განძლიერდეს სპარსნი. და განდიდნა მეფე სპარსთა, რომელსა ერქუა შიდაპოს.

ხოლო მის ეჟისა იყო ვინმე ლეკეთს, კაცი მგრძნებელი, ნო-

თესავი ხოზანიზისი, და მან გრძნებთა თესათა დაბრმო ქე-  
კაპოს მეღე და სპა მისი, და ვერ შევიდა ლევეს, უკუმოიქცა  
და მამინდა განუთლად თულაგნი. ამაჲ ქეკაპოს კუალად მო-  
ხარკე-ყენა ქართველი და წარვიდა.

შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა მოვიდა ამა-  
გი, ვითარმედ მოე განელო ზღუა ისრაელთა, და იზრდებთან  
იგინი უღანისა მანანათა. განკარდეს ყოველი, და მათ ყო-  
მელთა წარმართთა აქეს ღმერთი ისრაელთა.

და შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა უცალო  
იქმნა ქეკაპოს, მეღე სპარსთა, რამეთუ იყუო ბრძოლა თურქ-  
თა. მაშინ პოვეს ეამი მარჯუნი სომეხთა და ქართველთა, და  
განუღდეს სპარსთა და განაზარდეს ციხენი და ქალაქნი მათნი.  
და შეგრძონეს ყოველი ნათესაენი თარგამოსიანნი.

შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა გამოგზავნა  
ქეკაპოს, სპარსთა მეღემან, ძე მისი, რომელსა ერქუა ფარაბო-  
როტი, სპითა დიდითა სომეხთა და ქართველთა და ყოველთა  
თარგამოსიანთა ზედა. ხოლო შეკრბეს ესე ყოველნი თარგამო-  
სიანნი, მიეგებნეს და ეწყენეს ადარბაღეანს, და იტეს ფარა-  
ბოროტი, და მოსრეს სპა მისი.

შემდგომად ამისა მცირედთა წელთა კუალად გამოგზავნა  
ამანვე ქეკაპოს ძისწული მისი, ძე შიომ ბედნიერისა, რომელი  
შოიკლა თურქეთს, ვითარცა წერტილ არს წიგმსა სპარსთა  
ცხოვრებისასა.

წარმოებართა ენე ძე შიომისი, სახელით ქაიხოსრო, ვერ  
წინაღუღდეს მას სომეხნი და ქართველნი, რამეთუ დიდი იყო  
ძალი მისი. მოვლო ყოველი სომეხითი და ქართლი, მოტყუენა  
ყოველივე, ავიარყენა ყოველნი ციხენი და ქალაქნი, და დაუ-  
ტეგნა ერისთავნი, და აღაშენა ადარბაღეანს სახლი სალოცავი  
სჯულისა მათისა, და წარვიდა.

და შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა უცალო  
იქმნა ქაიხოსრო მეღე, და იყო ბრძოლად თურქთა, ეძიებდა  
სიხსლსა მამისა მათისასა. და პოვეს ეამი სომეხთა და ქარ-  
თველთა, განუღდეს სპარსთა და მოსრინეს ერისთავნი სპარს-  
თანი, და განთავისუფლდეს.

ხოლო მასვე ეამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისიე  
ჩაზოსოსგან. გამოელეს ზღუა გუბანისი, აღმოყუეს მტყუ-  
ნასა აჲ მოვიდეს მცხეთას სახლი ოცდარვა. და ვსრანეს მა-

მასხლისსა მცხეთისასა, აღუტყუეს შეწეენა სპარსთა ზედა.  
ხოლო მამასხლისმინ მცხეთელმან აღწყა ყოველთა ქართველ-  
თა. ინებეს დამეგობრება მათ თურქთა, რამეთუ აქუნდა შიომი  
სპარსთა, და შემწეობასათს დამეგობრნეს თურქნი იგი გა-  
მოსხმულნი, და განიყენეს ყოველთა ქალაქთა შინა.

ხოლო უმრავლესნი მათგანი მოვიდეს და პოვეს ადგილი  
ერთი მცხეთას, დასავლით კერძო კლდეთა შორის გამოკუთვი-  
ლი, ღრმა, და მოითხოვეს ადგილი იგი მცხეთელთა მამასხ-  
ლისისაგან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და  
ეწოდა მას ადგილსა სარკინე.

და იყენეს ესე თურქნი და ქართველნი ნებამყოფელ ერთ-  
მანერთისა, მოვლოდეს მოსლგვას სპარსთასა, ამაგრებდეს ცი-  
ხეთა და ქალაქთა. მას ეამსა შინა სადათაც ვინ მოვიდეს ძურის-  
მოქმედთაგან საბერძნეთით, ვინა ასურით ოტებულნი, ვინა ხა-  
ზარეთით, ყოველივე დამეგობრბანი ქართველთა შემწეობი-  
სათს სპარსთა ზედა.

და გამოვდეს ამას შინა ეამინ მრავალნი. მაშინ ნაბუქოდო-  
ნოსორ მეღემან წარმოსტყუენა იერუსალიმი, და მუნთი ოტე-  
ბულნი ურიაინი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელთა  
მამასხლისისაგან ქუეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა  
ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქუენ ზანავი. და რომელი ქუეყანა  
აქუნდა მათ ხარკითა, აწ ჰქუენ ხერც ხარკისა მისთს.

აქამომდის ქართლისიანთა ენა სომხური იყო, რომელსა  
ზრახვიდეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურიაცხენი ნათესაენი  
ქართლსა შინა, მაშინ ქართველთაცა დაუტევეს ენა სომხური.  
და ამით ყოველთა ნათესავთაგან შეიქმნა ენა ქართული.

და იპყრეს სჯული უბოროტესი ყოველთა ნათესავთასა.  
რამეთუ ცოლქმრობისათს არა უწნდათ ნათესაობა; და ყო-  
ველს სულორისა ჳამდეს; საფლავი არა იყო, მკურდარსა შეს-  
ჳამდეს.

შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა აღმოვიდა ძე  
სპარსთა მეფისა ვაშტაშაშისი, სახელით სანდიატ-რეალი, გო-  
ლოთი იგი და სახელგანი. ხოლო ვერ წინაღუღდეს სომეხნი  
და ქართველნი, არამედ განაზარდეს ციხენი და ქალაქნი, და  
მოვლოდეს მოსლგვას მისსა. ხოლო მოვიდა რა იგი ადარბა-  
ღეანს, ეწოა ამავე სპარსთა, რამეთუ მოვლეს მამისმამა მისი  
თურქთა და შემოვიდეს თურქნი სპარსეთად. მაშინ დაუტეგა

საპარტიო ბრძოლა მომენტისა და ქართველთა, შეიქცა თურქთა ზედა მებნად სისხლსა მამისმამისა მისისასა. და განთავსდეს ლდებს სომეხნი და ქართველნი.

შემდგომად ამისა რაოდენთავე წელიწადთა მეფე იქმნა სპარსეთს ძე საპარტიოსი, რომელი არს სახელით ბარამ, რომე მელი იცნობებთ არაფორობით. ესე განდიდნა უფროს ყოველთა მეფეთა სპარსთასა. ამან დაიპყრა ბაბილოვანი და ასურეთი, მოხარკე-ყვანა ზერემანი და ბრომანი. და მაშინ ქართველნი მოხარკე-იყვნენ მისდამე. და იყვნენ ქართლს ესრეთ აღრესულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზარებოდა ქართლსა შინა მძუსი ენის სომეხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, შინა და დედათა.

3. შვირსხელა აღმოსანდრენი

ესე აღმოსანდრე გამოჩნდა ქუეყანასა სიბერძნეთისასა, ქუეყანასა, რომელსა ჰქვან მავკდონი, ძე ნიკტანებისი, მეფე მქულისა, ეითარცა წერილ არს ამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა.

ამან აღმოსანდრე დაიპყრა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვიდა კავკასნი და მოვიდა ქართლად. და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს. ყოველთა ნათესავთა სჭულთა. რამეთუ ცოლქმრობისა და სიმკისათჳს არა ფრინდა ნათესაობა, ყოველსა სულთებრსა ჰამდეს, მკუდარსა შესამდეს, ვითარცა მკვიდნი და პირუტყუნი, რომელთა ქცევისა წიარმოთქმა უკმაირ არს და იბილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურად და ყოველთადად უყოლო. მსხდომარენი მდინარესა მას მტკურისასა მიხუციო, დაუკრდა ესე აღმოსანდრეს, რამეთუ არაომეილნი ნათესავნი იქმოდეს შინა. და ენება რითამცა აღმოფხუტნა იგინი ქალაქებისა მისგან, არამედ მას ეამსა ვერ ულო, რამეთუ პოვნა ცოხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერნი. კუალად გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალაქედენი, და დაეშენეს იგინიცა ქართლს. შემდგომად ამისა განძლიერდა აღმოსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა. და

პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შეუპართლ: წუნდა, ხერ-თუსი მტკურისა, რამვე მოვიდებული კლდესა ლადოსსა, თუ-ნარისი მდინარესა ზედა საერისასა, რომელსა ჰქვან ჭოროხი, ურანისი, კასბი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცეთა და უბანი მისი, სარკინი, ციხედდი და ზანავი, უბანი ურიათა, და რუსთავი, და დედაციხე საშუალებე. და მტურისციხე, რომელ არს ხუნანი, და კახეთის ქალაქნი. ამით ყოველთა ციხე-ქალაქთა შინა პოვნა კაცნი სასტიკად მბრძოლნი და განუყოლაშქარი თუსი და ყოველთა ამით ციხე-ქალაქთა გარემოად-გინა, და თუთ დადგა მცხეთასა. და დაუდგინა ლაშქარნი იმი-ერ და ანიერ, ზემოთ და ქუეშოთ, და თუთ დადგა მასნს ზედა, აღმოსა, რომელსა ჰქვან ნისტაკისი.

ხოლო მტურისციხესა და თუბარისსა არა მბრძოდა, რამე-თუ ვერ შეუძლებდა დაპყრობად. ხოლო სხუანი ესე ციხენი და ქალაქნი დაიპყრა მძუს-თუფ. ხოლო სარკინელთა ბუნ-თურთ-განთა იგინესა მცხეთასა. განუწყრა აღმოსანდრე და არ-ღობა მანბა ზავი, და ვესტიბა მათი არა შეიწყნარა. და რქვა მათი ანთესავნი მკვიდრნი მკ. ესე არს ნაცვლი თქუნი, რათა დაეძინნ ყოველთა და მოიკცა ქალაქი სარკინე, და გერა დაეძინნ განგრა რწითი კაცი. ხოლო სარკინელთა შესქირდა, რამესა მბრძოდა თურთმტ თუფ. იწყეს ფარულად კლდესა ქალაქნი განუტურთეს კლდე იგი, რომელი ლობა იყო და აღ-მოსანდრე შეკურნელი. და განკრებს ქუერესა მას სარკინელნი ლამე და შევუტურდეს კავკასიად, და დაუტევეს ცალიერად ქალაქი.

დაიპყრა აღმოსანდრე ყოველი ქართლი, და მოსრნა ყო-ველნი თუ ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხო-ნი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუვნა, და დედანი და ყრმა-ნი უტეხნი, თხუთმეტისა წლისა უმეტრისნი; და დაუტევნა ნა-თესავნი ქართლისიანი, და დაუტევნა მისი ქუეყანით მკე-სელოთ აზონ, ძე იარელოსისი, ნათესავი მისი ქუეყანით მკე-დონით, და მისცა ასი ათასი კაცი ქუეყანით ჭრომით, რომელ-სა ჰქვან ფრლათოსი. ესე ფრლათოსელნი იყვნეს კაცნი ძლი-ერნი და მკენნი, და ეკირთებოდეს ქუეყანასა ჭრომისასა. და მოიყვანნა ქართლად, მისცა აზონს პატარკსა. და დაუტევნა ქართლს ერისთავად აზონ, და მის თანა სპანი იგი, მყრობე-ლიდ ქართლისა.

4. ქართლს ეხოვრება